ნინო ნახუცრიშვილი - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პედაგოგიკის მეცნიერებათა კადიდატი, პროფესორი

შორენა ძამუკაშვილი - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, განათლების მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ინკლუზიური სოციალური გარემოს მნიშვნელობა ხარისხიანი ადრეული და სკოლამდელი განათლებისთვის

ბავშვთა უფლებების კონვენციის თანახმად, ყველა ბავშვს აქვს განათლების მიღების უფლება, მისი შესაძლებლობების გათვალისწინებით. იმისათვის, რომ თითოეულმა ბავშვმა შეძლოს, ისარგებლოს ადრეული და სკოლამდელი განათლების დაწესებულებების მომსახურებით, და არ იგრძნოს თავი მარგინალიზებულად, იზოლირებულად და იმედგაცრუებულად, არსებითია ინკლუზიური სოციალური გარემოს შექმნა. (გაერო, 1989). ზოგადად, სოციალური გარემო მნიშვნელოვნად მოქმედებს აღსაზრდელთა მოტივაციაზე, თვითრეგულირებად სწავლაზე, ქცევებზე, ურთიერთობებზე და მიღწევებზე (Ryan & Patrick, 2001).

ხარისხიანი ადრეული განათლება ეფუძნება ინკლუზიურ სოციალურ გარემოს, რომელიც აგებულია ურთიერთპატივისცემაზე, პოზიტიურ ურთიერთობებზე, ეფექტურ კომუნიკაციაზე, მოლოდინების აშკარა გაგებასა და კრიტიკულ თვითრეფლექსიაზე. ინკლუზიურ გარემოში ინდივიდებს შეუძლიათ: თავისუფლად გამოავლინონ თუ ვინ არიან, გამოხატონ მოსაზრებები, სრული მონაწილეობა მიიღონ სწავლების, სწავლის, სამუშაო და სოციალურ აქტივობებში, დაცულად იგრძნონ თავი ძალადობის, შევიწროების ან უსამართლო კრიტიკისგან, განიცადონ ნაკლები სტრესი, ჰქონდეთ გაუმჯობესებული მიღწევები და მიაღწიონ განვითარების უკეთეს შედეგებს. (ჯიჯავაძე, ნ., კუხალეიშვილი თ. 2019). ამიტომაა, რომ ადრეული განვითარებისა და განათლების დარგის სპეციალისტები აქცენტს გარემოს ინკლუზიურობაზე აკეთებენ და მშობლებს ბაგა-ბაღის შერჩევისას, ურჩევენ გაითვალისწინონ: ,,არის თუ არა ბაღში, ბავშვის ჰოლისტური განვითარების თვალსაზრისით, უსაფრთხო და მხარდამჭერი გარემო? ღებულობენ თუ არა აღმზრდელები ბავშვებთან ურთიერთობისას სიამოვნებას? რა თანაფარდობაა აღმზრდელებსა და ბავშვებს შორის? ესაუბრებიან თუ არა აღმზრდელები ბავშვებს პატივისცემით და ახალისებენ თუ არა ბავშვებს გამოთქვან თავიანთი გრძნობები და აზრები? სხდებიან თუ არა დროდადრო უფროსები ბავშვებთან სათამაშოდ იატაკზე? ხელს უწყობს თუ არა ბაღი მშობლების ჩართულობას? გამოიყურებიან თუ არა ბავშვები ბედნიერად?“ (ცინცაძე, ნ., დოლიძე ხ., მორანი ა.მ. 2019).

ინკლუზიური სოციალური გარემო განსაზღვრავს თუ რამდენად მხარდამჭერი, დადებითი ემოციური კლიმატია ჯგუფში და ზოგადად ბაგა - ბაღში. აქ ყველა ბავშვი სწავლობს და ვითარდება მასტიმულირებელ და გამოწვევებით სავსე სოციალურ, სასწავლო და ფიზიკურ გარემოში. ბავშვის აქტიური ჩართვა გარემოს ყოველდღიურ საქმიანობაში, ადრეული ინკლუზიური განათლების ამოსავალია და მჭიდროდაა დაკავშირებული სწავლასთან, ბავშვსა და სოციალურ/ფიზიკურ გარემოს შორის ურთიერთქმედებასთან. ჩართულობის მაგალითებია, როდესაც: ბავშვები თამაშობენ ერთად საერთო მიზნით და რიგრიგობით, თანატოლთა ჯგუფი აქტიურად არის

ორიენტირებული სიმღერაზე მასწავლებელთან ერთად, ბავშვი ყურადღებით ათვალიერებს ილუსტრირებულ წიგნს, ბავშვები თამაშში არიან ჩაფლულები.

აღმზრდელ პედაგოგთა რეტროსპექციულმა ხედვამ ინკლუზიური სოციალური გარემოს შესახებ, რომელიც გამოვლინდა „აღმზრდელ პედაგოგთა რეფლექსია ხარისხიანი ადრეული ინკლუზიური განათლებისათვის“ კვლევის ფარგლებში, (იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევითი პროექტი, 2021-22 წლ), შესაძლებლობა მოგვცა მოგვეხდინა ამ საკითხზე მათ მიერ გაწეული პრაქტიკის, ცოდნის, დამოკიდებულებების იდენტიფიცირება და გაგვეკეთებინა დასკვნები. ინსტრუმენტი, რომელიც ამ კვლევაში იქნა გამოყენებული, და რომლის მიზანიც ინკლუზიურობის ხარისხის გაუმჯობესებაა, შემუშავებულ იქნა ადრეული ასაკის ბავშვთა ინკლუზიური განათლების (IECE) პროექტის ფარგლებში, ევროპის სპეციალური საჭიროებებისა და ინკლუზიური განათლების სააგენტოს მიერ 2015-17 წლებში. (www.european-agency.org/agency-projects/inclusive - ადრეული ბავშვობა-განათლება). იგი ემყარება ეკოსისტემის ხედვას, რომელშიც ბავშვის გამოცდილება განიხილება როგორც გარემოში პროქსიმალური პროცესების ფუნქცია. ამ თვალსაზრისით, პროფესიონალები და პერსონალი მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ბავშვის ჩართულობაზე, სწავლასა და განვითარებაზე. ამავდროულად, თანატოლები გარემოში, მშობლები და ოჯახი არიან ბავშვის გარშემო არსებული ეკოსისტემის ნაწილი. ისინი, ისევე როგორც ფიზიკური გარემო, გავლენას ახდენენ თითოეული ბავშვის ჩართულობაზე, განვითარებასა და სწავლაზე. თვითრეფლექსიის ინსტრუმენტი ყურადღებას ამახვილებს იმ პროქსიმალურ პროცესებზე, რომლებსაც ბავშვები განიცდიან გარემოში. ინსტრუმენტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს გარემოს ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენენ თითოეული ბავშვის მონაწილეობაზე.

თვითრეფლექსიის ინსტრუმენტი შედგებოდა რვა თემასთან დაკავშირებული შეკითხვებისაგან. ჩვენ მოცემულ შემთხვევაში განვიხილავთ ერთი თემის, ინკლუზიური სოციალური გარემოს შესახებ რეფლექსიის შედეგებს. ამ მიზნით კვლევისას შეირჩა 4 შეკითხვა:

1. როგორ უწყობთ ხელს ყველა ბავშვების თანატოლებთან ინტერაქციას და თამაშს?
2. როგორ ხდება ბავშვების წახალისება, რომ პატივი სცენ თანატოლთა განსხვავებულობას?
3. როგორ წაახალისებთ ბავშვებს განავითარონ პოზიტიური ქცევა?
4. რისი შეცვლა გსურთ?

პირველი სამი შეკითხვა რესპონდენტებს აფიქრებდა საბავშვო ბაღებში არსებულ პრაქტიკაზე (აწმყოზე) და მეოთხე შეკითხვა კი - მომავალზე, თუ რის შეცვლას ისურვებდნენ, რითაც ნათლად გამოვლინდებოდა მათი შეფასება აწმყოზე და მომავლის ხედვები გაუმჯობესების გზებზე. აღნიშნული რეფლექსიის პროცესი მოიაზრებდა მათი გამოცდილების და ცოდნის გამოყენებას კონკრეტული მიმართულებით. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 10 აღმზრდელ-პედაგოგმა რომლებიც ასევე ჩართულნი იყვნენ ამ პროექტის ფარგლებში განხორციელებულ ნარატიული კვლევაშიც. რეფლექსიის ანალიზის შედეგად აღმოჩნდა, რომ შეკითხვაზე, თუ როგორ უწყობენ ხელს ყველა ბავშვის თანატოლებთან ინტერაქციას და თამაშს, რესპოდენტთა უმრავლესობამ ზოგადად აღნიშნა, რომ მეგობრულ, მათ ინტერესებზე, პატივისცემაზე ორიენტირებულ

გარემოს უქმნიან ბავშვებს, რითაც ცდილობენ თავი აგრძნობინონ პიროვნებად, ითვალისწინებენ მათ შესაძლებლობებს და გეგმავენ მრავალფეროვან აქტივობებს, სადაც ყველას აქვს ჩართვის შესაძლებლობა მათმა უმრავლესობამ გამოკვეთა თამაშის როლი,როგორც ბავშვებთან ინტერაქციის ერთ-ერთი საშუალების. ამაზე მეტყველებს რესპოდენტთა კომენტარებიც: ,,ვცდილობთ ჩავატაროთ მრავალფეროვანი აქტივობები, რადგან დავაინტერესოთ ბავშვები და ჩავრთათ ჯგუფურად ამ აქტივობებში", „ბავშვებმა რომ იგრძნონ, რომ თანატოლთა ჯგუფს მიეკუთვნებიან საჭიროა მათი მჭიდრო კავშირი ერთმანეთის მიმართ, ამისათვის აღმზრდელმა უნდა შექმნას ჯგუფში მეგობრული გარემო, დაგეგმოს ისეთი ჯგუფური აქტივობები, რომელიც გათვლილი იქნება ყველა ბავშვზე და ხელი შეუწყოს მათ მჭიდრო კავშირს," „იმისათვის, რომ ყველა ბავშვი იყოს აქტიურობაში ჩართული, ვითვალისწინებ მათი ინტერესის სფეროს, შესაძლებლობასა და ინიციატივას. საგანმანათლებლო გარემო აუცილებლად მორგებულია მათ ინტერესებზე...".

კვლევის ფარგლებში ვეცადეთ დაგვედგინა, პრაქტიკულად როგორ ახორციელებდნენ აღმზრდელ-პედაგოგები საგანმანათლებლო სივრცეში სსმ ბავშვების ჩართულობას და ვთხოვეთ კონკრეტული მაგალითების მოყვანაც. რესპოდენტთა უმრავლესობამ გამოკვეთა აქტივობები, რასაც იყენებდნენ, (მაგალითად როლური თამაშები, ბავშვების ურთიერთობის ამსახველი სურათების გაფერადება, კოლაჟების შექმნა), თუმცა, თავი შეიკავა კონკრეტული მაგალითების დასახელებისაგან: „ვთამაშობთ სხვადასხვა როლურ თამაშებს, სადაც გამოკვეთილია თუ როგორ სცენ ერთმანეთს პატივი, ვასწავლით ქცევის წესებს," „ვგეგმავ ისეთ აქტივობებს, რაც ხელს შეუწყობს ბავშვების ჯგუფურ ჩართულობას, მაგალითად კოლაჟის გაკეთება, ასევე ვაკეთებ ისეთ აქტივობას, სადაც ორმა ბავშვმა ერთად უნდა შეასრულოს მოცემული დავალება," „ვაფერადებთ დანართებს, სადაც ბავშვები ეთამაშებიან, მაგალითად სსმ ბავშვს და ა.შ."

კვლევის მონაწილეებმა საუბრისას ხაზი გაუსვეს სსმ ბავშვის ჩართვისათვის მათ თბილ, სამართლიან, გულისხმიერი ქცევების მნიშვნელობას, როგორც მაგალითებს ბავშვებისათვის, ასევე მეგობრობის, გაზიარების, ტოლერანტობის თემების მნიშვნელობის ახსნას შესაბამისი აქტივობების მოწყობით, რაც მოწმობს იმას, რომ რესპოდენტთა უმრავლესობას გააზრებული აქვს სსმ ბავშვების ჩართულობის და თანატოლებთან ინტერაქციის მნიშვნელობა და გზები, მაგრამ, ვერ ადასტურებენ პრაქტიკული კონკრეტული სიტუაციის მოყვანით, რაც ეჭვს ბადებს პრაქტიკულად განხორციელების ჭეშმარიტებას.

რაც შეეხება შეკითხვას, როგორ ხდება ბავშვების წახალისება, რომ პატივი სცენ თანატოლთა განსხვავებულობას, რესპოდენტთა უმრავლესობამ სიტყვიერი შექება და წამახალისებლად ჯილდოები, სტიკერები და სიგელები დაასახელა.

კვლევის შედეგად რესპოდენტთა უმცირესობის მხრიდან გამოვლინდა მნიშვნელოვანი ასპექტი: იმისათვის რომ, თანატოლთა განსხვავებულობა წაახალისონ, ისინი ჯგუფს აცნობენ სხვა კულტურის მქონე ადამიანების წესებისა და ჩვევების შესახებ ინფორმაციას, მათი კულტურის დამახასიათებელ ცეკვას და სიმღერას. ბავშვებთან ამახვილებენ ყურადღებას ინდივიდუალიზმის მნიშვნელობაზე და თანაბარ უფლებებზე, მიუხედავად რასისა, კანის ფერისა, ასაკისა, ეროვნებისა და ცდილობენ არ მოახდინონ ჯგუფში განსხვავებულობის ხაზგასმა: „ბავშვებმა, რომ პატივი სცენ

თანატოლთა განსხვავებულობას, ვესაუბრები მათ კულტურაზე, წეს-ჩვეულებებზე და ვაცნობ მათი კულტურისადმი დამახასიათებელ ცეკვასა და სიმღერას," „ჩვენ მათ ყურადღებით ვუსმენთ და ავღნიშნავთ, რომ ადამიანები ერთმანეთისგან შესაძლოა განსხვავებულები იყვნენ, ჰქონდეთ სხვადასხვანაირი გარეგნობა, სახელი, კანის ფერი, ეროვნება, ასაკი, მაგრამ ყველა იბადება თანაბარი უფლებებით და ამავდროულად გააჩნიათ ინდივიდუალურობა. ჯგუფში განსხვავებული ბავშვის ყოლის შემთხვევაში ხაზს არ ვუსვამთ მის განსხვავებულობას, მაგრამ ვუთითებთ, თუ როგორ დავეხმაროთ მას."

რესპოდენტთა უმრავლესობამ შეკითხვაზე, თუ როგორ ახდენენ ბავშვებში პოზიტიური ქცევის წახალისებას, გააიგივა წინა შეკითხვასთან (როგორ ხდება ბავშვების წახალისება, რომ პატივი სცენ თანატოლთა განსხვავებულობას?) და ძირითადად უპასუხეს ერთიანად და დაასახელეს მასწავლებლის ქცევის მაგალითი, სიტყვიერი შექება და ჯილდოები (სტიკერი, სიგელი), ხოლო რესპოდენტთა უმცირესობამ კი, აქცენტი გააკეთა ,,სამ-ნაბიჯიან" სტრატეგიაზე: „პირველ რიგში, ბავშვს უნდა ვასწავლოთ სხვების მოსმენა (გამოხატონ ემპათია სხვა ბავშვების მიმართ), შემდეგი ნაბიჯია მათი წახალისება შექებით, როდესაც ისინი პატივს სცემენ თანატოლების აზრს, ეხმარებიან საჭირო მომენტში, უზიარებენ ერთმანეთს სათამაშოებს და სიხარულით ერთვებიან ჯგუფურ აქტივობებში. ვაკვირდებით, თუ რა მიზნით იქცევიან პოზიტიურად, უნდათ თავი მოგვაწონონ, თუ ეს ქცევა ჩვევაში აქვთ და პროცესი მოსწონთ."

შეკითხვაზე, რისი შეცვლა ჯსურთ ან რას გააუმჯობესებდნენ ამ მიმართულებით, კვლევის მონაწილეთა ნახევარმა არ უპასუხა ამ შეკითხვას, ხოლო მეორე ნახევარმა დააფიქსირა არაერთგვაროვანი პასუხები. აქცენტები გაკეთდა მრავალფეროვანი აქტივობების გამოყენებაზე სსმ ბავშვის ჩართვისათვის ჯგუფში, მშობლების მხარდაჭერაზე და სსმ ბავშვის ძლიერი და სუსტი მხარეების შესწავლის საფუძველზე სოციალური გამამტკიცებლების შემუშავებაზე. საგულისხმოა, რომ რესპოდენტებმა ცვლილების კუთხით განსაზღვრეს სპეცპედაგოგების და/ან ფსიქოლოგების მხარდაჭერა სსმ ბავშვებთან მუშაობაში, აქტივობების განხორციელებაში და ხაზი გაუსვევს მრავალფეროვანი რესურსების და საგანმანათლებლო მასალების აუცილებლობას. გამოკვეთეს პროფესიული განვითარების საჭიროება: ცოდნის ამაღლების აუცილებლობა ქცევის მართვასთან დაკავშირებით.

კონკრეტული კვლევის მაგალითზე, თითოეულ ასპექტზე ფორმულირებულ შეკითხვაზე პასუხებმა გამოკვეთა კვლევაში ჩართულ ბაგა - ბაღებში არსებული ინკლუზიური სოციალური გარემოს მაჩვენებლები და თავად რესპოდენტების როლი, სადაც ნათლად წარმოჩინდა საკითხებისადმი მათი დამოკიდებულება, კვლევის შედეგები გვაძლევს დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას: სსმ ბავშვებთან მუშაობისას კვლევაში მონაწილე აღმზრდელ-პედაგოგებს მართალია გააზრებული აქვთ საკითხების მნიშვნელობა და ანიჭებენ პრიორეტეტს, მაგრამ მათი პრაქტიკა ინკლუზიური სოციალური გარემოს შექმნაში ღარიბია, გამოცდილება კი, ზოგადად მწირი და ბუნდოვანი კონკრეტული მაგალითების არ არსებობის ფონზე. ამიტომ, მნიშვნელოვანი რეკომენდაცია ამ კუთხით, მათი განათლება და პრაქტიკაზე დაფუძნებული სწავლება იქნება, რაც ასახვას პოვებს მათ პროფესიულ საქმიანობაში, რომ ყველა ბავშვს მიეცეს განათლების თანაბარი შესაძლებლობა.

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ იმ გამოცდილების ფონზე, რაც გამოვლინდა კვლევის შედეგებით აღმზრდელ პედაგოგების მიერ ინკლუზიური სოციალური გარემოს შექმნაში, რესპოდენტები ნათლად ვერ ხედავენ საკუთარ როლს და განვითარების გზას დანახული ცვლილების/გაუმჯობესების კუთხით, თუმცა მივიჩნევთ, რომ მოცემულ საკითხებზე რეფლექსია, მეტად დააფიქრებს კვლევის მონაწილეებს და ხელს შეუწყობს მათი მუშაობის ეფექტურობის გაზრდას მომავალში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბავშვთა უფლებათა კონვენცია. (1989). გაეროს გენერალური ასამბლეა.
2. ჯიჯავაძე, ნ., კუხალეიშვილი თ. (2019). ადრეული და სკოლამდელი განათლების ხარისხის სტანდარტის გზამკვლევი. გაეროს ბავშვთა ფონდი.
3. ცინცაძე, ნ., დოლიძე ხ., მორანი ა.მ. (2019). ადრეული ინკლუზიური განათლება სახელმძღვანელო პრაქტიკოსებისათვის.ნაწილი პირველი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი.
4. Patrick,H.,Ryan, M.,(2003). Identifying Adaptive Classrooms: Analyses of Measures of Dimensions of the Classroom Social Environment. For Indicators of Positive Development Conference.
5. European Agency for Special Needs and Inclusive Education, 2017. Inclusive Early Childhood Education Environment Self-Reflection Tool. (E. Björck-Åkesson, M. Kyriazopoulou, C. Gine and P. Bartolo, eds.). Odense, Denmark

ნინო ნახუცრიშვილი - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პედაგოგიკის მეცნიერებათა კადიდატი, პროფესორი

შორენა ძამუკაშვილი - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, განათლების მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

ხარისხიანი ადრეული განათლება ეფუძნება ინკლუზიურ სოციალურ გარემოს, რომელიც აგებულია ურთიერთპატივისცემაზე, პოზიტიურ ურთიერთობებზე, ეფექტურ კომუნიკაციაზე, მოლოდინების აშკარა გაგებასა და კრიტიკულ თვითრეფლექსიაზე. ინკლუზიური სოციალური გარემო განსაზღვრავს სწორედ რამდენად მხარდამჭერი, დადებითი ემოციური კლიმატია ჯგუფში და ბაგა - ბაღში. 2021 წლის დეკემბერში იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ფარგლებში მოხდა თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღებიდან 10 აღმზრდელ-პედაგოგთა რეფლექსიის კვლევა. შედეგებმა აჩვენა, კვლევაში ჩართულ ბაგა - ბაღებში არსებული ინკლუზიური სოციალური გარემოს მაჩვენებლები და თავად რესპოდენტების როლი, სადაც ნათლად წარმოჩინდა, საკითხებისადმი მათი დამოკიდებულება, გამოცდილება, რაც ზოგადად მწირია,ბუნდოვანი კონკრეტული მაგალითების არ არსებობის ფონზე. ასევე გამოვლინდა რომ, მათი სსმ ბავშვებთან მუშაობის პრაქტიკა ინკლუზიური სოციალური გარემოს შექმნაში ღარიბია, თუმცა ჩანს რომ, საკითხების მნიშვნელობა გააზრებული აქვთ და ანიჭებენ პრიორიტეტს. საგულისხმოა ის ფაქტიც რომ, ინკლუზიური სოციალური გარემოს შექმნაში რესპოდენტებს ნათლად არ აქვთ

საკუთარი როლი და განვითარების გზა დანახული ცვლილების /გაუმჯობესების კუთხით.

Nino Nakhutsrishvili - Iakob Gogebashvili Telavi State University, Candidate of Pedagogical Sciences, Professor

Shorena Dzamukashvili - Iakob Gogebashvili Telavi State University, Doctor of Education, Associate Professor

Abstract

Quality early education is based on an inclusive social environment built on mutual respect, positive relationships, effective communication, a clear understanding of expectations, and critical self-reflection. The inclusive social environment determines supportive, positive emotional climate in the group and in the kindergarten. In December 2021, within the framework of a scientific-research project funded by Iakob Gogebashvili Telavi State University, a study of 10 kindergarten teachers' reflection was conducted. The results showed the indicators of the inclusive social environment and the role of the respondents in the kindergartens; the teachers' attitude towards the issue and their experience, which is generally scarce, were revealed. It was also disclosed that teachers' practice in working with SEN children in creating the inclusive social environment is poor, although it seems that they understand the importance of the issue and prioritize it. It is also noteworthy that respondents do not clearly see their role and paths to development in creating the inclusive social environment in terms of the change / improvement.